



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: +995 599 51-88-41
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72,

ბრძანება

N 162
16/01/2020

162-0-4-202001161202



ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2020 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებებში საერთო კრების მოწვევის და მოსახლეობასთან კონსულტაციების გამართვის გრაფიკის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 85⁴ მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2020 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებებში საერთო კრების მოწვევის და მოსახლეობასთან კონსულტაციების გამართვის გრაფიკი დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის).

2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახურს, ადმინისტრაციული სამსახურს და იურიდიულ სამსახურს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

4. ბრძანება ძალაშია მხარეთა გაცნობისთანავე.

კონსტანტინე შარაშენიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია

